ოქმი:**ო87.8722220001**
თარიღი:**08/08/2022**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 9

ქ. ახმეტა 03 აგვისტო, 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

იოსები ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

გ.ბართიშვილი, გ. ქიბროწაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი,

თ.ბორჩაშვილი, ხ.იჩუაიძე, ზ. ფიცხელაური,

გ.შაშიაშვილი, კ.მამულაშვილი, ზ.უძილაური,

ე.ბაღაკაშვილი, ბ.კაიშვილი,

გ. ონიაშვილი, გ.მამუჩარაშვილი,რ.გახუაშვილი,

დ.ავაზაშვილი, თ.მოზაიძე, გ.უძილაური,

ფ.შიომღვდლიშვილი, შ. ტერტერაშვილი,

გ. შორთიშვილი, ე. ფეტვიაშვილი, ე. მარკოზაშვილი,

კ. მაზიაშვილი, კ. მუხაური, ს. ბაბულაიძე,

ლ. მუთოშვილი.

სხდომა გაიხსნა 12 ^{00} საათზე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ვაჟა ნასყიდაშვილი შემოვიდა ინიციატივით, რომ საჭიროებიდან გამომდინარე დღის წესრიგში დაემატოს საკითხი:

,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ასევე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე“-მ გიორგი

მამუჩარაშვილმა შემოვიდა ინიციატივით, დღის წესრიგს დაემატოს კიდევ ერთი საკითხი:

“ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ლევან ოღაძის სახელის მინიჭებისას გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ.“

საკრებულოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ დღის წესრიგის ცვლილებას.

საკრებულოს თავმჯდომარემ იოსებ ქარუმაშვილმა დამსწრე საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის კორექტირებული ვარიანტი.

დღის წესრიგი

1. **,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“**

/მომხსენებელი-მარინა მაისურაძე/

2. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

3. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების - გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 ნოემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

4. **ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ;**

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

5. **ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების ოდენობის განსაზღვრის შესახებ;**

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

6. **ქალაქ ახმეტაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განმეორებითი ელექტრონული აუქციონის წესით, 30%-იანი ფასდაკლებით სარგებლობაში გადაცემის წლიური ქირის საწყისი საფასურის დამტკიცების შესახებ;**

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

7. **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ. ალვანში მდებარე ფეხბურთის მოედნის (20026.0კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა) ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი თუშეთი“- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;**

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

8. **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საკობიანოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მდებარე 30.23კვ.მ სამუშაო ფართის ა(ა)იპ „ეთნოგრაფიული და ეთნიკური ჯგუფების განვითარებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;**

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

9. **ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ლევან ოღაძის სახელის მინიჭებისას გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ**

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მიღებას.

სხდომას ესწრება - 27 საკრებულოს წევრი

მომხრე - 27

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი-მარინა მაისურაძე/

სხდომა დატოვა კარლო მუხაურმა.

მომხსნებელმა აღნიშნა, რომ ეს ცვლილება განპირობებულია იმით, რომ მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში აისახა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის N926 განკარგულებით, 2022 წლის 14 იანვრის #51 განკარგულებით, 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით გამოყოფილი თანხები და შესაბამისად მოხდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებისა და გადასახდელების ცვლილება.

შემოსულობები: შემოსულობების ნაწილი იზრდება 2687,2 ათასი ლარით, მ.შ. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N51 განკარგულებით 90,9 ათასი ლარი (სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება 21,1 ათ. ლარი; სკოლების რეაბილიტაცია 69,8 ათ. ლარი). 2022 წ. 25 მაისის N926 განკარგულებით მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ახმეტის მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო 1000,0 ათ. ლარი (მ. შ. სოფ. ომალოს წყალსადენის სათავე ნაგებობისა და ქსელის რეაბილიტაცია 400,0 ათ. ლარი. ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ილიურთა-ვესტომთა-საჩიღოლო-ვესტმოს და სოფ. ვესტომთა-გოგრულთას დამაკავშირებელი ადგილობრივი მიმოსვლის საავტომობილო გზების მოწყობის სამუშაოები 600,0 ათ. ლარი). 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით დამატებით გამოყოფილი თანხა შეადგენს 29,2 ათ. ლარს (ტენდერის ჩატარების შედეგად მორჩენილი ეკონომიები მიიმართა ქ. ახმეტაში კახეთის ქუჩის რეაბილიტაციაზე).

ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები იზრდება 1567,1 ათასი ლარით. მ. შ. დამატებული ღირებულების გადასახადი - 992,1 ათ. ლარი, ქონების გადასახადი 285,0 ათ. ლარი, პროცენტი 90,0 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 250,0 ათ. ლარი, ჯარიმები და საურავები 100,0 ათ. ლარი.

მცირდება რენტა - მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის -150,0 ათ. ლარით.

მომხსენებელმა გააცნო ცვლილება: ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი იზრდება 1567,1 ათ. ლარით, ხოლო შიდა მაჩვენებლების ცვლილება შეადგენს 33,0 ათ. ლარს. რომელიც განაწილდა შემდეგნაირად:

1. **მერიის ხარჯები იზრდება 257,5 ათ. ლარით. აქედან:**

   - არაფინანსური აქტივების ზრდა 160,0 ათ. ლარი - აქედან 20,0 ათ. ლარი არის თუშეთის სოფელ ომალოს ადმინისტრაციული შენობაში სველი წერტილების მოწყობისთვის, ხოლო 140,0 ათ. ლარი მოხმარდება ქ. ახმეტაში ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაციას
   - საქონელი და მომსახურება 97,5 ათ. ლარი (წარმომადგენლობითი ხარჯი 40,0 ათ. ლარი, საწვავი 40,0 ათ. ლარი, შტატგარეშეთა ანაზღაურება 17,5 ათ. ლარი).
2. **საკრებულო**

   - საქონელი და მომსახურება გაზრდილია 10,0 ათ.ლარით (საწვავი).
3. **სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

   - არაფინანსური აქტივების ზრდა 5,0 ათ. ლარი (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისთვის).
4. **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**

   - არაფინანსური აქტივების ზრდა 804,6 ათასი ლარი. (მათ შორის: რეგ. პროექტების

თანადაფინანსება 714,6 ათ. ლარი, საზედამხედველო 60,0 ათ. ლარი, საპროექტო 15,0 ათ. ლარი, ტბათანას გზის რეაბილიტაცია 15,0 ათ.ლარი).

5. **წყლის სისტემების რეაბილიტაცია -** არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს ემატება 132,0 ათ.ლარი.მ.შ:

   · არგოხის ჭაბურღილის მოწყობა - 83,0 ათ.ლარი.
   · ზემო ალვანში წყლის სათავე - ნაგებობის შემოღობვის სამუშაოები - 25,0 ათ.ლარი.
   · ომალოს წყალსადენის რეაბილიტაციის თანადაფინანსება - 24,0 ათ.ლარი.

6. **ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა 71,5 ათ. ლარი. მ.შ:**

   · ქ.ახმეტაში , ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის მოწყობის თანადაფინანსების ხარჯი - 40,0 ათ.ლარი.
   · ციხე -ქალაქ კვეტერას ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა და პოპულარიზება მიმდებარე ტერიტორიაზე ტურისტული ინფრასტრუქტურეის მოწყობით თანადაფინანსება - 15,0 ათ.ლარი.
   · საზედამხედველო 1,5 ათ. ლარი
   · ბ. ჩოლოყაშვილის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული მიწის შეძენა - 15,0 ათ. ლარი

7. **ა(ა)იპ საბავშვო ბაღების ცენტრის დაფინანსება იზრდება 29,0 ათ. ლარით. აქედან:**

   - სუბსიდიის მუხლს ემატება 14,0 ათ.ლარი.
   - არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს - 15.0 ათ.ლარი.

8. **სკოლამდელი განათების არაფინანსური**

   - არაფინანსური აქტივების ზრდა + 75,5 ათ. ლარი (რეგ. ფონდის თანადაფინანსება)

9. **საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაციას ემატება 60,0 ათ. ლარი. აქედან:**

   - საქონელი და მომსახურების მუხლი - 10,0 ათ. ლარი (წყლის გადასახადი);
   - ჭავჭავაძის ქუჩაზე სკვერის რეაბილიტაციისათვის 50,0 ათ.ლარი.

10. **სოფლის პროგრამის თანადაფინანსება +50,0 ათ. ლარი**
11. **ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია**

    - თუშეთის სოფ. ომალოს ამბულატორიის შენობის სამედიცინო ინვენტარით აღჭურვის თაობაზე იაპონიის საელჩოსთან გაფორმებულია მემორანდუმი. ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსების სახით გათვალისწინებულია 15,0 ათ. ლარი

12. **ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა**

    - არაფინანსური აქტივების ზრდა + 25,0 ათ. ლარი - დუისის სპორტ. დარბაზის იატაკის რეაბილიტაციისთვის.

13. **ა(ა)იპ კეთილმოწყობის სამსახურის** სუბსიდია იზრდება 5,0 ათ. ლარით
14. **სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის** საქონელი და მომსახურების მუხლს ემატება 10,0 ათ. ლარი (გადმოტანილია არაფინანსური აქტივების ზრდიდან, მთის ტექნიკის მიმდინარე რემონტისთვის)
15. **კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში**

    - **არაფინანსური აქტივების ზრდა +50,0 ათ. ლარი -** სოფ. ქისტაურში სპორტული დარბაზის მოწყობის მიზნით შენობა-ნაგებობის შესყიდვა

სულ ზრდა 1600,1 ათ. ლარი.

კლება

სანიაღვრე არხები - არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი შემცირდა 23,0 ათ.ლარი.

სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი შემცირდა 10,0 ათ. ლარით.

სულ კლება: 33.0 ათ. ლარი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 26 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 19 (ი.ქარუმაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი, გ.ქიბროწაშვილი, გ.ბართიშვილი, გ.ონიაშვილი,თ.ბორჩაშვილი,ხ.იჩუაიძე,გ.შაშიაშვილი,კ.მამულაშვილი,ზ.უძილაური, ე.ბაღაკაშვილი,ბ.კაიშვილი,ზ.ფიცხელაური,გ.მამუჩარაშვილი,რ.გახუაშვილი, დ.ავაზაშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი, ე. ფეტვიაშვილი)

მონაწილეობა არ მიიღო - 7 (შ.ტერტერაშვილი, გ. შორთიშვილი, ლ.მუთოშვილი, ფ.შიომღვდლიშვილი, კ.მაზიაშვილი, ს.ბაბულაიძე, თ.მოზაიძე.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება: №51 ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომა დატოვა კობა მაზიაშვილმა.

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების საჭიროება გამოწვეულია რეგლამენტის 51-ე მუხლით მოწესრიგებული ერთ-ერთი საკითხის - საკრებულოს რიგგარეშე სხდომის თავმჯდომარეობის შესაბამისობაში მოყვანის საჭიროებით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის შინაარსთან.

რეგლამენტის თანახმად, **თუ საკრებულოს თავმჯდომარე და მისი არცერთი მოადგილე არ გამოცხადდა, რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობს საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან უხუცესი.** კოდექსის ზემოაღნიშნული ნორმა კი ასეთ დანაწესს არ ითვალისწინებს.

ამიტომ მომხსენებელს მიზანშეწონილად მიაჩნია:

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/03/2022; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.162.016562) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - საკრებულოს თავმჯდომარის უხუცესი (ასაკით უფროსი) მოადგილე.“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 25 წევრი.

მომხრე - 21 (ი.ქარუმაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი, გ.ქიბროწაშვილი, გ.ბართიშვილი, გ.ონიაშვილი,თ.ბორჩაშვილი,ხ.იჩუაიძე,გ.შაშიაშვილი,კ.მამულაშვილი,ზ.უძილაური, ე.ბაღაკაშვილი,ბ.კაიშვილი,ზ.ფიცხელაური,გ.მამუჩარაშვილი,რ.გახუაშვილი, დ.ავაზაშვილი, გ.უძილაური, ე.მარკოზაშვილი, ე. ფეტვიაშვილი ლ.მუთოშვილი, ფ.შიომღვდლიშვილი)

მონაწილეობა არ მიიღო - 4 (შ.ტერტერაშვილი, თ.მოზაიძე,ს. ბაბულაიძე, გ. შორთიშვილი. **)**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 52 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების - გერბის და დროშის დამტკიცების

შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 ნოემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაც შეეხება მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ საკრებულოს 2011 წლის 30 ნოემბრის №49 დადგენილებას, მასში ცვლილების შედეგად ზუსტდება პრეამბულაში მითითებული საკანონმდებლო აქტები, კერძოდ, ემატება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-8 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები, ასევე „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი. გარდა ამისა, ხდება დადგენილების მე-2 მუხლის ტექსტის კორექტირება არსებული პრაქტიკის შესაბამისად.

კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 25 წევრი.

მომხრე - 18 (ი.ქარუმაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი, გ.ქიბროწაშვილი, გ.ბართიშვილი, გ.ონიაშვილი,თ.ბორჩაშვილი,ხ.იჩუაიძე,გ.შაშიაშვილი,კ.მამულაშვილი,ზ.უძილაური, ე.ბაღაკაშვილი,ბ.კაიშვილი,ზ.ფიცხელაური,გ.მამუჩარაშვილი,რ.გახუაშვილი, დ.ავაზაშვილი, გ.უძილაური, ლ.მუთოშვილი,)

მონაწილეობა არ მიიღო - 7 (შ.ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, ე.ფეტვიაშვილი, თ.მოზაიძე, გ. შორთიშვილი ფ.შიომღვდლიშვილი ს.ბაბულაიძე **)**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № 53 „ახმეტის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების - გერბის და დროშის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 30 ნოემბრის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;“

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის ის, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის მოქმედი დებულება საჭიროებს ცვლილებებს. პროექტის მიზანია ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების ახლებურად ჩამოყალიბება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ის ცვლილებები, რომლებსაც საჭიროებს მერიის მოქმედი დებულება.

პროექტის მიხედვით დადგენილება შედგება 42 მუხლისგან და 11 თავისგან.

პირველი თავი მოიცავს ზოგად დებულებებს (მერია, მერიის ბეჭედი, საქმიანობის პრინციპები, საქმისწარმოება და სხვა).

მე-2 თავი მოიცავს მერიის თანამდებობის პირებს და მათ უფლებამოსილებებს .

მე-3 თავი მოიცავს მერიის სტრუქტურას.

მე-4 თავში საუბარია მერიის საჯარო მოსამსახურეებზე და მათ უფლება-მოვალეობებზე.

მე-5 თავი - მერის წარმომადგენლის ფუნქციები და უფლებამოსილება.

მე-6 თავი - მერიის მოხელეების თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლება და კარიერული განვითარება.

მე-7 თავი - მერიის მუშაობის ორგანიზება

მე-8 თავი - მერიის თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტები

მე-9 თავი - დისციპლინური პასუხისმგებლობა

მე-10 თავი - მერიის რეორგანიზაციის წესი

მე-11 თავი - მერიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება კანონმდებლობით გათვალსწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას.

შეკითხვები და კმენტარები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 25 წევრი.

მომხრე - 19 (ი.ქარუმაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი, გ.ქიბროწაშვილი, გ.ბართიშვილი, გ.ონიაშვილი,თ.ბორჩაშვილი,ხ.იჩუაიძე,გ.შაშიაშვილი,კ.მამულაშვილი,ზ.უძილაური, ე.ბაღაკაშვილი,ბ.კაიშვილი,ზ.ფიცხელაური,გ.მამუჩარაშვილი,რ.გახუაშვილი, დ.ავაზაშვილი, გ.უძილაური, ლ.მუთოშვილი, თ მოზაიძე)

მონაწილეობა არ მიიღო - 6 (შ.ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, ე.ფეტვიაშვილი, გ. შორთიშვილი ფ.შიომღვდლიშვილი ს.ბაბულაიძე **)**

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № :54 ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ;

მოისმინეს: **ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების ოდენობის განსაზღვრის შესახებ;**

/მომხსენებელი - თინათინ შათირიშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი: ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის ის, რომ საკრებულოს მოქმედი დაგენილება, რომლითაც განსაზღვრულია ადგილობრივი მოსაკრებლების ოდენობა და გადახდის წესი, საჭიროებს ცვლილებებს. წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მოხდება აღნიშნული საკითხის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დარეგულირება.

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ადგილობრივი მოსაკრებლების (მშენებლობის, მშენებლობის დაჩქარებული მომსახურების, დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის) ოდენობის განსაზღვრის შესახებ დადგენილების მიღება.

სხდომა დატოვა ლუიზა მუთოშვილმა.

გიორგი ქიბროწაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ უკეთესი იქნება, თუ გაიმიჯნება გადასახადები საკვირაო და ყოველდღიური ბაზრებისათვის, ასევე ამოიღონ ცნება „ შერეული ბაზრები“ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია აგრარული ბაზრებისთვის განკუთვნილი მოსაკრებლის რაოდენობა გაუტოლდეს ხილბოსტნის მაღაზიებისთვის განკუთვნილ მოსაკრებელს.

გელა შაშიაშვილმა აღნიშნა,რომ უმჯობესი იქნება, თუ ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობის მოსაკრებელი დიფერენცირებული იქნება იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინება და კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება შეცვლილი სახით.

სხდომას ესწრება 24 წევრი.

მომხრე - 16 (ი.ქარუმაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი, გ.ქიბროწაშვილი, გ.ბართიშვილი, გ.ონიაშვილი,თ.ბორჩაშვილი,ხ.იჩუაიძე,გ.შაშიაშვილი,კ.მამულაშვილი,ზ.უძილაური, ე.ბაღაკაშვილი,ბ.კაიშვილი,ზ.ფიცხელაური,გ.მამუჩარაშვილი,რ.გახუაშვილი, დ.ავაზაშვილი)

წინააღმდეგი - 1 (შ.ტერტერაშვილი)

მონაწილეობა არ მიიღო - 7 (ე. მარკოზაშვილი, ე.ფეტვიაშვილი, თ.მოზაიძე, გ.უძილაური, ს. ბაბულაიძე, გ. შორთიშვილი, ფ. შიომღვდლიშვილი.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება № : 55 „ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების ოდენობის განსაზღვრის შესახებ;“

მოისმინეს: ქალაქ ახმეტაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განმეორებითი ელექტრონული აუქციონის წესით, 30%-იანი ფასდაკლებით სარგებლობაში

გადაცემის წლიური ქირის საწყისი საფასურის დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 119-ე მუხლის მე-10 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და 38-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად,

დამტკიცდეს ქალაქ ახმეტაში მდებარე 3632 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი - 50.04.51.389) განმეორებითი ელექტრონული აუქციონის წესით 30%-იანი ფასდაკლებით სარგებლობაში გადაცემის წლიური ქირის საწყისი საფასური - 270 ლარის ოდენობით, ხოლო სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 24 წევრი.

მომხრე - 20 (ი.ქარუმაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი, გ.ქიბროწაშვილი, გ.ბართიშვილი, გ.ონიაშვილი,თ.ბორჩაშვილი,ხ.იჩუაიძე,გ.შაშიაშვილი,კ.მამულაშვილი,ზ.უძილაური, ე.ბაღაკაშვილი,ბ.კაიშვილი,ზ.ფიცხელაური,გ.მამუჩარაშვილი,რ.გახუაშვილი, დ.ავაზაშვილი, გ.უძილაური, ფ. შიომღვდლიშვილი. ს. ბაბულაიძე, თ.მოზაიძე,)

მონაწილეობა არ მიიღო - 4(შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, ე.ფეტვიაშვილი, გ. შორთიშვილი,)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 21 „ქალაქ ახმეტაში მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის განმეორებითი ელექტრონული აუქციონის წესით, 30%-იანი ფასდაკლებით სარგებლობაში გადაცემის წლიური ქირის საწყისი საფასურის დამტკიცების შესახებ;“

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ. ალვანში მდებარე ფეხბურთის მოედნის (20026.0კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა) ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი თუშეთი“- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად,მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას - განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ქვემო ალვანში მდებარე ფეხბურთის მოედნის (20026.0კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა თავისი ინფრასტრუქტურით, - საკადასტრო კოდი 50.03.35.335) ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი თუშეთი“-სათვის (საიდენტიფიკაციო კოდი - 424614037) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა 2 (ორი) წლის ვადით.

შეკითხვები არ ყოფილა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 24 წევრი.

მომხრე - 20 (ი.ქარუმაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი, გ.ქიბროწაშვილი, გ.ბართიშვილი, გ.ონიაშვილი,თ.ბორჩაშვილი,ხ.იჩუაიძე,გ.შაშიაშვილი,კ.მამულაშვილი,ზ.უძილაური, ე.ბაღაკაშვილი,ბ.კაიშვილი,ზ.ფიცხელაური,გ.მამუჩარაშვილი,რ.გახუაშვილი, დ.ავაზაშვილი, გ.უძილაური, ფ. შიომღვდლიშვილი. ს. ბაბულაიძე, თ.მოზაიძე,)

მონაწილეობა არ მიიღო - 4(შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, ე.ფეტვიაშვილი, გ. შორთიშვილი,)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 22 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქვ. ალვანში მდებარე ფეხბურთის მოედნის (20026.0კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა) ა(ა)იპ „საფეხბურთო კლუბი თუშეთი“- სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;“

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საკობიანოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მდებარე 30.23კვ.მ სამუშაო ფართის ა(ა)იპ „ეთნოგრაფიული და ეთნიკური ჯგუფების განვითარებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად,მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას - განახორციელოს სოფელ საკობიანოში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (საკადასტრო კოდი - 50.05.33.092) მეორე სართულზე არსებული 30.23 კვ.მ ფართობის ა(ა)იპ „ეთნოგრაფიული და ეთნიკური ჯგუფების განვითარებისთვის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 424618382) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა 2 (ორი) წლის ვადით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

სხდომას ესწრება 24 წევრი.

მომხრე - 20 (ი.ქარუმაშვილი, ლ.ვაჩეიშვილი, გ.ქიბროწაშვილი, გ.ბართიშვილი, გ.ონიაშვილი,თ.ბორჩაშვილი,ხ.იჩუაიძე,გ.შაშიაშვილი,კ.მამულაშვილი,ზ.უძილაური, ე.ბაღაკაშვილი,ბ.კაიშვილი,ზ.ფიცხელაური,გ.მამუჩარაშვილი,რ.გახუაშვილი, დ.ავაზაშვილი, გ.უძილაური, ფ. შიომღვდლიშვილი. ს. ბაბულაიძე, თ.მოზაიძე,)

მონაწილეობა არ მიიღო - 4(შ. ტერტერაშვილი, ე. მარკოზაშვილი, ე.ფეტვიაშვილი, გ. შორთიშვილი,)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 23 „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საკობიანოს ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე მდებარე 30.23კვ.მ სამუშაო ფართის ა(ა)იპ „ეთნოგრაფიული და ეთნიკური ჯგუფების განვითარებისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;“

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ლევან ოღაძის სახელის მინიჭებისას გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ

/მომხსენებელი - გიორგი მამუჩარაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-7 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული ახმეტის სახანძრო-სამაშველო სამსახურის მეხანძრე-მაშველის **ლევან ოღაძის** სახელის მინიჭება გამონაკლისის წესით, მისი გარდაცვალებიდან 20 წლის გასვლამდე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის მიღება.

საკრებულოს ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკითხის მიღებას.

სხდომას ესწრება 24 წევრი.

მომხრე - 24

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № : 24 „ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქისტაურში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ლევან ოღაძის სახელის მინიჭებისას გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“

საკრებულოს სხდომა დაიხურა 13:20საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი